

შპს „არ ემ ჯი აურამაინი“

2019 წლის  
ფინანსური ანგარიშგება

## სარჩევი

|                                                         |    |
|---------------------------------------------------------|----|
| დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა                          | 3  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                      | 6  |
| მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 7  |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება                       | 8  |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება                  | 9  |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები          | 10 |



შპს „KPMG Georgia“

ჯი ემ თი პლაზა

მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4

თბილისი, საქართველო 0105

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: [www.kpmg.ge](http://www.kpmg.ge)

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ აქციონერებს

### დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „არ ემ ჯი აურამაინის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღებით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

### დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, ხსენებული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

### მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „მმართველობით ანგარიშზე“. ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს „მმართველობით ანგარიშს“.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშის წაკითხვას და იმის განსაზღვრას, ხომ არ აქვს ადგილი მმართველობითი ანგარიშის არსებით შეუსაბამობას ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის მტკიცებულებას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობითი ანგარიში და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელიც მოთხოვნილია და შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

### **ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შეცდომის ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები შესაძლებელია მოიაზრობოდნენ არსებითად, თუ ცალკე ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა იქონიონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნიტ, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნიტ, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაა დეკლარირებული იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს "KPMG Georgia"

თბილისი, საქართველო

2021 წლის 11 იანვარი

- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი



შპს "KPMG Georgia"

თბილისი, საქართველო

2021 წლის 11 იანვარი

| '000 ლარი                                              | შენიშვნა | 31 დეკემბერი<br>2019 წელი | 31 დეკემბერი<br>2018 წელი |
|--------------------------------------------------------|----------|---------------------------|---------------------------|
| <b>აქტივები</b>                                        |          |                           |                           |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                           |          |                           |                           |
| ძირითადი საშუალებები                                   | 10       | 20,620                    | 13,160                    |
| მალაროს ქონება, ლიცენზია და ძიების და შეფასების აქტივი | 11       | 80,771                    | 65,039                    |
| ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის                    |          | 1,135                     | 3,619                     |
| არამატერიალური აქტივები                                |          | 155                       | 88                        |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>                       |          | <b>102,681</b>            | <b>81,906</b>             |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                              |          |                           |                           |
| მარაგები                                               | 12       | 5,930                     | 2,284                     |
| ავანსები                                               |          | 103                       | 1,016                     |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                             | 13       | 16,176                    | 43                        |
| საგადასახადო აქტივი, წმინდა                            |          | -                         | 448                       |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                  |          | 524                       | 436                       |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                          |          | <b>22,733</b>             | <b>4,227</b>              |
| <b>სულ აქტივები</b>                                    |          | <b>125,414</b>            | <b>86,133</b>             |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>                       |          |                           |                           |
| <b>კაპიტალი</b>                                        |          |                           |                           |
| საწესდებო კაპიტალი                                     |          | 36,882                    | 36,882                    |
| დამატებით გადახდილი კაპიტალი                           |          | 3,458                     | 3,458                     |
| დაგროვილი ზარალი                                       |          | (9,358)                   | (748)                     |
| <b>სულ კაპიტალი</b>                                    | 14       | <b>30,982</b>             | <b>39,592</b>             |
| <b>ვალდებულებები</b>                                   |          |                           |                           |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                      |          |                           |                           |
| სესხები და კრედიტები                                   | 15       | -                         | 41,603                    |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>                  |          | <b>-</b>                  | <b>41,603</b>             |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>                         |          |                           |                           |
| სესხები და კრედიტები                                   | 15       | 85,577                    | -                         |
| საგადასახადო ვალდებულება, წმინდა                       |          | 2,354                     | -                         |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                          | 16       | 6,501                     | 4,938                     |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>                     |          | <b>94,432</b>             | <b>4,938</b>              |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                               |          | <b>94,432</b>             | <b>46,541</b>             |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>                   |          | <b>125,414</b>            | <b>86,133</b>             |

**შპს „არ ემ ჯი აურამინი“**  
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგების ან ზარალის  
 და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

| '000 ლარი                                           | შენიშვნა | 2019           | 2018         |
|-----------------------------------------------------|----------|----------------|--------------|
| შემოსავალი                                          | 6        | 13,643         | -            |
| გაყიდვების თვითღირებულება                           | 7        | (9,081)        | -            |
| <b>მთლიანი მოგება</b>                               |          | <b>4,562</b>   | <b>-</b>     |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები                   | 8        | (4,532)        | (709)        |
| სხვა შემოსავალი                                     |          | (27)           | 58           |
| <b>საოპერაციო საქმიანობების შედეგები</b>            |          | <b>3</b>       | <b>(651)</b> |
| ფინანსური ხარჯები                                   |          | (8,613)        | (1,290)      |
| ფინანსური შემოსავალი                                |          | -              | 1,515        |
| <b>წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი</b>          | 9        | <b>(8,613)</b> | <b>225</b>   |
| <b>ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</b>       |          | <b>(8,610)</b> | <b>(426)</b> |
| <b>ზარალი და სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში</b> |          | <b>(8,610)</b> | <b>(426)</b> |

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 11 იანვარს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

თორნიკე ლიპარტია  
 გენერალური დირექტორი

ნინო ყალიჩავა  
 მთავარი ბუღალტერი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების.

შპს „არ ემ ჯი აურამინი“  
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგების ან ზარალის  
და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

| '000 ლარი                                       | შენიშვნა | 2019    | 2018    |
|-------------------------------------------------|----------|---------|---------|
| შემოსავალი                                      | 6        | 13,643  | -       |
| გაყიდვების თვითღირებულება                       | 7        | (9,081) | -       |
| მთლიანი მოგება                                  |          | 4,562   | -       |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები               | 8        | (4,532) | (709)   |
| სხვა შემოსავალი                                 |          | (27)    | 58      |
| საოპერაციო საქმიანობების შედეგები               |          | 3       | (651)   |
| ფინანსური ხარჯები                               |          | (8,613) | (1,290) |
| ფინანსური შემოსავალი                            |          | -       | 1,515   |
| წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი             | 9        | (8,613) | 225     |
| ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე          |          | (8,610) | (426)   |
| ზარალი და სულ სრული ზარალი წლის<br>განმავლობაში |          | (8,610) | (426)   |

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 11 იანვარს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

თორნიკე ლიპარტია  
გენერალური დირექტორი



ნინო ყალიჩავა  
მთავარი ბუღალტერი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების.

**შპს „არ ემ ჯი აურამინი“**

*2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება*

| '000 ლარი                                    | საწესდებო<br>კაპიტალი | დამატებით<br>გადახდილი<br>კაპიტალი | დაგროვილი<br>ზარალი | სულ<br>კაპიტალი |
|----------------------------------------------|-----------------------|------------------------------------|---------------------|-----------------|
| ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს                    | 36,396                | 3,458                              | (322)               | 39,532          |
| <b>სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში</b>    |                       |                                    |                     |                 |
| წლის ზარალი                                  | -                     | -                                  | (426)               | (426)           |
| <b>პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები</b> |                       |                                    |                     |                 |
| <b>მესაკუთრებთან</b>                         |                       |                                    |                     |                 |
| სულ შენატანები და განაწილებები               |                       |                                    |                     |                 |
| მესაკუთრის არაფულადი შენატანი                |                       |                                    |                     |                 |
| (შენიშვნა 14)                                | 486                   | -                                  | -                   | 486             |
| <b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს</b>          | <b>36,882</b>         | <b>3,458</b>                       | <b>(748)</b>        | <b>39,592</b>   |
| <br>ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს                | <br>36,882            | <br>3,458                          | <br>(748)           | <br>39,592      |
| <b>სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში</b>    |                       |                                    |                     |                 |
| წლის ზარალი                                  | -                     | -                                  | (8,610)             | (8,610)         |
| <b>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს</b>          | <b>36,882</b>         | <b>3,458</b>                       | <b>(9,358)</b>      | <b>30,982</b>   |

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების.

| <b>'000 ლარი</b>                                                                                | <b>2019</b>     | <b>2018</b>     |
|-------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>                                               |                 |                 |
| წლის ზარალი                                                                                     | (8,610)         | (426)           |
| <i>კორექტირებები:</i>                                                                           |                 |                 |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                                            | 2,658           | 36              |
| ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან                                                        | 76              | 59              |
| წმინდა ფინანსური ხარჯები/(შემოსავალი)                                                           | 8,613           | (225)           |
| <b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>                                               |                 |                 |
| <b>/(საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული ფულადი სახსრები) საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე</b> | <b>2,737</b>    | <b>(556)</b>    |
| <i>ცვლილებები:</i>                                                                              |                 |                 |
| ცვლილება მარაგებში                                                                              | (3,220)         | (1,333)         |
| ცვლილება ავანსებში                                                                              | 913             | (454)           |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში                                                            | (16,133)        | -               |
| ცვლილება საგადასახადო აქტივებში, წმინდა                                                         | 2,802           | 562             |
| <b>საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>                             | <b>(12,901)</b> | <b>(1,781)</b>  |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან</b>                                             |                 |                 |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                                                    | (9,436)         | (9,836)         |
| შენატანები მდაროს ქონებაში, ლიცენზიასა და ძიების და შეფასების აქტივში                           | (10,370)        | (9,024)         |
| არამატერიალური აქტივების შეძენა                                                                 | (82)            | (44)            |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>                            | <b>(19,888)</b> | <b>(18,904)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>                                                  |                 |                 |
| შემოსულობები სესხებიდან                                                                         | 32,845          | 21,138          |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>                                           | <b>32,845</b>   | <b>21,138</b>   |
| <b>წმინდა მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში</b>                                      | <b>56</b>       | <b>453</b>      |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში                                       | 436             | 98              |
| გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                         | 32              | (115)           |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>                                     | <b>524</b>      | <b>436</b>      |

## **1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო**

### **(a) საქართველოს ბიზნეს გარემო**

კომპანიის საქმიანობა ძირითადად ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

### **(b) ორგანიზაცია და ოპერაციები**

შპს "არ ემ ჯი აურამაინი" (შემდგომში „კომპანია“) ქართული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანია დაარსდა 2016 წლის 28 სექტემბერს.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალექსიძის ქ.№1, თბილისი, საქართველო. კომპანია დაარეგისტრირა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და მისი რეგისტრაციის ნომერია: 405168740.

კომპანიას მიღებული აქვს მინერალური რესურსების, ძიების, მოპოვებისა და დამუშავების ლიცენზია ბექთაქარის მაღაროზე, სამხრეთ საქართველოში ბოლნისისა და დმანისის რაიონების ტერიტორიაზე 2041 წლის ოქტომბრამდე.

2019 წლის სექტემბრამდე კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავდა მიწისქვეშა მაღაროს (ბექთაქარის პროექტი) მშენებლობა, რომელიც ბოლნისის რაიონის (საქართველო) სოფელ ბექთაქარშია განთავსებული, სამთო-მოპოვებელი სამუშაოების განხორციელების და ოქრო-პოლიმეტალური მადნების მინერალიზაციის და ოქროს შემადგენლობის მქონე მეორადი კვარციტის შემდგომი დამუშავების მიზნით. ბექთაქარის პროექტის ძირითადი ნაწილის მშენებლობა დასრულდა 2019 წლის აგვისტოს ბოლოს. მადნის მოპოვების საბოლოო ნებართვა მიღებულ იქნა 2019 წლის სექტემბერში და წარმოების პროცესებიც იმავე თვეში დაიწყო. 2019 წლის სექტემბრიდან კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს სპილენძის, ოქროს, თუთიის და ტყვიის შემცველი მადნის მოპოვებას (ერთად წოდებული როგორც ოქრო-პოლიმეტალური მადნის მოპოვება). ოქრო-პოლიმეტალური მადანი გაყიდულ იქნა სს "არ ემ ჯი კოპერზე", დაკავშირებულ კომპანიაზე. თუმცა, როგორც დამახასიათებელია აღნიშნული ინდუსტრიისთვის, მიწისქვეშა მაღაროს მშენებლობა კვლავ მიმდინარეობს წარმოების პროცესთან ერთად.

კომპანიის 100 %-იანი წილის მფლობელი და პირდაპირი მშობელი არის შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ (საქართველო) - მშობელი კომპანია, მესაკუთრე. შემდგომი მფლობელი არის შპს ფემთილონ ჰოლდინგს ლიმიტედი (კვიპროსი). კომპანიის დაფინანსების უმეტესი წილი და საკრედიტო ვალდებულება არის, ჯგუფში შემავალი სხვა კომპანიის მიმართ, რომლის სათავეშიც არის ფემთილონ ჰოლდინგს ლიმიტედი. შედეგად, კომპანია არის ეკონომიკურად დამოკიდებული ჯგუფზე, ფემთილონ ჰოლდინგს ლიმიტედის თაოსნობით. ამას გარდა, კომპანიის საქმიანობა არის მჭიდროდ დაკავშირებული ჯგუფის მოთხოვნებთან და კომპანიის მომსახურების ფასის განსაზღვრა ხდება ჯგუფში შემავალ სხვა კომპანიებთან ერთად, ფემთილონ ჰოლდინგს ლიმიტედის თაოსნობით.

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირები არიან ფიზიკური პირები: დიმიტრი ტროიცი და დიმიტრი კორჟევი, რომლებსაც აქვთ უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ და საკუთარი სარგებლისთვის წარმართონ კომპანიის ოპერაციები. მათ ასევე გააჩნიათ სხვადასხვა ბიზნეს ინტერესები კომპანიის გარეთ. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 19-ე შენიშვნაში.

### ბექთაქარის პროექტი

კომპანიის პირდაპირი შშმბელი კომპანია შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ (CMG) ფლობს საქართველოს ტერიტორიაზე კვლევა-ძიებისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას. 2011 წლიდან, „CMG“-მ განახორციელა სამთო-სადიებო პროგრამა, რომლის დროსაც ბექთაქარის ტერიტორია სიღრმისეულად იქნა შესწავლილი. 2014 წელს „CMG“-მ დაიქირავა დამოუკიდებელი მესამე პირი საკონსულტაციო კომპანია „Bumigeme Inc.“ ბექთაქარის მადაროს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარების მიზნით. კვლევის შედეგები 2016 წლის ივნისის თვეში იყო მზად. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებმა უჩვენა, რომ ბექთაქარის პროექტის განვითარებას მნიშვნელოვანი ფინანსური შედეგების მოტანა შეუძლია. შესაბამისად, „CMG“-მ მიიღო გადაწყვეტილება 100%-იანი შვილობილი კომპანიის, შპს არ ემ ჯი აურამაინის შექმნის გზით, დაეწყო ობიექტის განვითარება.

საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ დამტკიცებულმა ბექთაქარის მადაროს შესაძლო მარაგმა შეადგინა 11,988 კგ ოქრო, 108,712 კგ ვერცხლი, 27,448 ტონა ტყვია და 57,528 ტონა თუთია. 2018 წლის 8 ოქტომბერს, კომპანიამ შეცვალა სალიცენზიო ხელშეკრულება და მადაროს მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადა გახანგრძლივდა 2024 წლიდან 2027 წლამდე.

## 2. აღრიცხვის საფუძველი

### შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

ეს არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც გამოყენებულია ფასს 16 „იჯარები“. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში აღწერილია მე-5 შენიშვნაში.

## 3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

## 4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 1(b) - დაფინანსების ძირითადი ნაწილი დაკავშირებული მხარეებისგან;
- შენიშვნა 6 (d) – შემოსავლის აღიარება; და
- შენიშვნა 11 - დანახარჯების კაპიტალიზაცია.

### **სამართლიანი ღირებულებების შეფასება**

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ინფორმაციის საფუძველზე:

- **დონე 1:** კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- **დონე 2:** შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- **დონე 3:** მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანია ახდენს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლის აღიარებას ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 17(a)- ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები.

## **5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში**

### **ფასს 16**

კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 იჯარები 2019 წლის 1 იანვრიდან დანერგა.

კომპანიამ დანერგა ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით, რომლის ფარგლებში თავდაპირველი დანერგვის კუმულაციური გავლენა აღიარებულია აკუმულირებულ ზარალში 2019 წლის 1 იანვარს. შესაბამისად, 2018 წლისთვის წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული - ანუ წარმოდგენილია ადრე აღრიცხულის შესაბამისად, ბასს 17-ის და დაკავშირებული ინტერპრეტაციების ფარგლებში. სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ. ამასთანავე, ფასს 16-ის ახსნა-განმარტებითი მოთხოვნები ზოგადად არ ყოფილა გამოყენებული შესადარის ინფორმაციაზე.

**(a) იჯარის განმარტება**

ადრე, კომპანია ხელშეკრულების დადებისას განსაზღვრავდა იყო თუ არა ან შეიცავდა თუ არა გარიგება იჯარას ფასიკ 4 როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა გარიგება იჯარას - ფარგლებში. კომპანია ამჟამად აფასებს არის თუ არა ან შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას იჯარის ახალი განმარტების მიხედვით, როგორც განმარტებულია 22(k) შენიშვნაში.

ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიამ გარიგებების იჯარებად კლასიფიკაციისთვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება აირჩია. კომპანიამ ფასს 16 მხოლოდ ადრე იჯარებად კლასიფიცირებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში გამოიყენა. ხელშეკრულებები, რომლებიც არ იყო კლასიფიცირებული იჯარებად ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არ ყოფილა გადაფასებული იჯარის არსებობაზე ფასს 16-ის ფარგლებში. მაშასადამე, იჯარის განმარტება ფასს 16-ის ფარგლებში გამოყენებულ იქნა მხოლოდ 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დადებულ ან შეცვლილ ხელშეკრულებებზე.

**(b) როგორც მოიჯარე**

2019 წლის 1 იანვრისთვის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებშიც იგი მოქმედებს როგორც მოიჯარე. შესაბამისად, კომპანიამ, ადრე ბასს 17-ის ფარგლებში საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებულ იჯარებთან მიმართებაში გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა ფასს 16-ის გამოყენებისას. კერძოდ, კომპანიამ:

- არ აღიარა აქტივები გამოყენების უფლებით და ვალდებულებები იჯარებისთვის, რომელთათვისაც საიჯარო ვადა ფასს 16 იჯარების თავდაპირველი გამოყენების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მთავრდება.
- არ აღიარა აქტივები გამოყენების უფლებით და ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისთვის.

**(c) როგორც მეიჯარე**

2019 წლის 1 იანვრისთვის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას არ აქვს საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებშიც იგი მოქმედებს როგორც მეიჯარე.

**(d) გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიას არ უღიარებია დამატებითი აქტივები გამოყენების უფლებით და დამატებითი საიჯარო ვალდებულებები. შედეგად, გადასვლის თარიღისთვის კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენა არ მომხდარა.

ფასს 16-ის და ბასს 17-ის ფარგლებში სააღრიცხვო პოლიტიკების დეტალები წარმოდგენილია შენიშვნაში 22(k).

რიგი სხვა ახალი ინტერპრეტაციები და კორექტირებები არსებულ სტანდარტებში შევიდა ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არ იქონიეს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 6. შემოსავალი

### (a) შემოსავლის წყაროები

კომპანია იღებს შემოსავალს ოქრო-პოლიმეტალური მადნის დაკავშირებულ მხარეზე, კომპანია სს "არ ემ ჯი კოპერზე" გაყიდვიდან.

| '000 ლარი                                                | 2019          | 2018     |
|----------------------------------------------------------|---------------|----------|
| შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან |               |          |
| შემოსავალი ოქრო-პოლიმეტალური მადნის რეალიზაციიდან        | 13,643        | -        |
| <b>სულ შემოსავალი</b>                                    | <b>13,643</b> | <b>-</b> |

### (b) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ჩაშლა

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში, შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან დაშლილია მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ბაზრების, ძირითადი შემოსავლის წყაროების და შემოსავლის აღიარების ვადების მიხედვით:

#### ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები

| '000 ლარი   | 2019          | 2018     |
|-------------|---------------|----------|
| ადგილობრივი | 13,643        | -        |
|             | <b>13,643</b> | <b>-</b> |

### (c) სახელშეკრულებო ნაშთები

მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე.

| '000 ლარი                                         | შენიშვნა | 2019   | 2018 |
|---------------------------------------------------|----------|--------|------|
| "სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში" შეტანილი მოთხოვნები | 13       | 16,166 | -    |

სახელშეკრულებო აქტივი წარმოადგენს უფლებას მომხმარებლისთვის გადაცემული საქონლის სანაცვლოდ ანაზღაურების მიღებაზე. თუ კომპანია მუშაობს საქონლის კლიენტზე მანამდე გადაცემით სანამ კლიენტი გადაიხდის ანაზღაურებას ან სანამ გადახდის ვალდებულება დადგება, მაშინ სახელშეკრულებო აქტივი აღიარდება პირობითი გამომუშავებული ანაზღაურებისთვის.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან არ წარმოქმნილა სახელშეკრულებო აქტივები და სახელშეკრულებო ვალდებულებები.

### (d) ნაკისრი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს როდესაც ის მომხმარებელს გადასცემს კონტროლს საქონელს ან მომსახურებაზე.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათისა და ვადების შესახებ, მათ შორის მნიშვნელოვანი გადახდის პირობები და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკები.

| საქონლის/მომსახურების სახეობა       | ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  | შემოსავლის აღიარების პოლიტიკები                                                                                                                                        |
|-------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| ოქრო-პოლიმეტალური მადნის რეალიზაცია | <p>ნაკისრი ვალდებულება დაკმაყოფილებულია მაშინ როდესაც კომპანია ხელმისაწვდომს ხდის მადანს კლიენტისთვის, მიღების წერტილში, რომელიც კომპანიის საწყობს წარმოადგენს.</p> <p>საკუთრების უფლება, ზარალის რისკი და კონტროლი მადანზე გადადის კლიენტზე მადნის მიღების წერტილში მიწოდების მომენტიდან.</p> <p>კომპანია არ არის პასუხისმგებელი მადნის მიღების წერტილიდან კლიენტის გამოყენების წერტილში ტრანსპორტირებაზე. საქონლის შემდგომ ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს კლიენტი.</p> <p>მადნისთვის არ არის შეთავაზებული ფასდაკლებები, ლოიალურობის ქულები ან უკან დაბრუნებები.</p> <p>გადახდის ვალდებულება დგება ინვოისის საფუძველზე, რომელიც ასახავს საქონლის მთლიანი თავდაპირველი ოდენობის 100%-ს.</p> <p>კომპანიასა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, მიწოდებული მადნის ოდენობა ექვემდებარება დასტურს/კორექტირებას მას შემდეგ რაც კონტროლი გადაეცემა კლიენტს, თუმცა იმ თვის ბოლომდე როდესაც ხდება მადნის მიწოდება. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოიწერება დროის მომენტში.</p> <p>ხელშეკრულების მიხედვით ფასი განისაზღვრება კლიენტის მიერ, დამუშავებული და რაფინირებული მადნისთვის თითოეული თვის ბოლოს არსებული საბაზრო ფასების მიხედვით.</p> | <p>შემოსავალი ოქრო-პოლიმეტალური მადნის გაყიდვიდან აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც ოქრო-პოლიმეტალური მადანი კომპანიის საწყობიდან კლიენტისთვის არის გადაცემული.</p> |

## 7. გაყიდვების თვითღირებულება

'000 ლარი

ოქრო-პოლიმეტალური მადნის გაყიდვების თვითღირებულება

| 2019         | 2018     |
|--------------|----------|
| 9,081        | -        |
| <b>9,081</b> | <b>-</b> |

გაყიდვების თვითღირებულება მოიცავს კაპიტალიზებულ დანახარჯებს:

'000 ლარი

ცვეთა და ამორტიზაცია  
მასალები  
ხელფასები  
გადასახადები ბუნებრივი რესურსების გამოყენებისთვის  
შემოწმება და ანალიზი  
კომუნალური ხარჯები  
სხვა

| 2019         | 2018     |
|--------------|----------|
| 2,590        | -        |
| 2,290        | -        |
| 2,008        | -        |
| 1,209        | -        |
| 220          | -        |
| 85           | -        |
| 679          | -        |
| <b>9,081</b> | <b>-</b> |

## 8. ადმინისტრაციული ხარჯები

'000 ლარი

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა  
ხელფასები  
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

| 2019         | 2018       |
|--------------|------------|
| 3,361        | 312        |
| 803          | 174        |
| 368          | 223        |
| <b>4,532</b> | <b>709</b> |

## 9. წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი

| '000 ლარი                                                                 | 2019           | 2018           |
|---------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| <b>ადიარებული მოგებაში ან ზარალში</b>                                     |                |                |
| მოგებასესხებისა და კრედიტების გახანგრძლივების ცვლილებაზე                  | -              | 1,515          |
| <b>ფინანსური შემოსავალი</b>                                               | -              | <b>1,515</b>   |
| <b>საპროცენტო ხარჯი ამორტიზირებული ღირებულებით</b>                        |                |                |
| შეფასებულ სესხებსა და კრედიტებზე                                          | (5,121)        | (209)          |
| უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული წმინდა ზარალი                     | (3,492)        | (1,081)        |
| <b>ფინანსური ხარჯები</b>                                                  | <b>(8,613)</b> | <b>(1,290)</b> |
| <b>მოგებაში ან ზარალში ადიარებული წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი</b> | <b>(8,613)</b> | <b>225</b>     |

## 10. ძირითადი საშუალებები

| '000 ლარი                           | მიწა       | კონება       | მანქანა-დანადგარები | ავტომობილები, ავეჯი და ხელსაწყოები | დაუმთავრებელი მშენებლობა | სხვა         | სულ            |
|-------------------------------------|------------|--------------|---------------------|------------------------------------|--------------------------|--------------|----------------|
| <b>თვითღირებულება</b>               |            |              |                     |                                    |                          |              |                |
| ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს           | -          | 5,015        | 4,339               | 158                                | -                        | 291          | 9,803          |
| შესყიდვები                          | 240        | 375          | 4,852               | 251                                | -                        | 499          | 6,217          |
| გაყიდვები                           | -          | -            | -                   | -                                  | -                        | (59)         | (59)           |
| <b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>240</b> | <b>5,390</b> | <b>9,191</b>        | <b>409</b>                         | <b>-</b>                 | <b>731</b>   | <b>15,961</b>  |
| ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს           | 240        | 5,390        | 9,191               | 409                                | -                        | 731          | 15,961         |
| შესყიდვები                          | -          | 22           | 9,078               | 572                                | 1,850                    | 398          | 11,920         |
| გაყიდვები                           | -          | -            | -                   | (4)                                | -                        | (76)         | (80)           |
| შიდა გადაცემები                     | -          | (3,999)      | 3,920               | 34                                 | -                        | 45           | -              |
| <b>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>240</b> | <b>1,413</b> | <b>22,189</b>       | <b>1,011</b>                       | <b>1,850</b>             | <b>1,098</b> | <b>27,801</b>  |
| <b>დაგროვილი ცვეთა</b>              |            |              |                     |                                    |                          |              |                |
| ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს           | -          | (297)        | (780)               | (34)                               | -                        | (32)         | (1,143)        |
| ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში   | -          | (480)        | (1,021)             | (69)                               | -                        | (88)         | (1,658)        |
| <b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>-</b>   | <b>(777)</b> | <b>(1,801)</b>      | <b>(103)</b>                       | <b>-</b>                 | <b>(120)</b> | <b>(2,801)</b> |
| ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს           | -          | (777)        | (1,801)             | (103)                              | -                        | (120)        | (2,801)        |
| ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში   | -          | (404)        | (3,448)             | (342)                              | -                        | (190)        | (4,384)        |
| ცვეთის დარიცხვა                     | -          | -            | -                   | -                                  | -                        | 4            | 4              |
| გაყიდვაზე                           | -          | -            | -                   | -                                  | -                        | 4            | 4              |
| შიდა მოძრაობა                       | -          | 189          | (190)               | (18)                               | -                        | 19           | -              |
| <b>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს</b> | <b>-</b>   | <b>(992)</b> | <b>(5,439)</b>      | <b>(463)</b>                       | <b>-</b>                 | <b>(287)</b> | <b>(7,181)</b> |
| <b>საბალანსო ღირებულება</b>         |            |              |                     |                                    |                          |              |                |
| 2018 წლის 1 იანვარს                 | -          | 4,718        | 3,559               | 124                                | -                        | 259          | 8,660          |
| 2018 წლის 31 დეკემბერს              | 240        | 4,613        | 7,390               | 306                                | -                        | 611          | 13,160         |
| 2019 წლის 31 დეკემბერს              | 240        | 421          | 16,750              | 548                                | 1,850                    | 811          | 20,620         |

## (a) ცვეთა

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ცვეთის ხარჯი 2,495 ათასი ლარის ოდენობით (2018: 1,634 ათასი ლარი) კაპიტალიზებულ იქნა მდაროს ქონებაზე, ლიცენზიასა და მიების და შეფასების აქტივზე, 1,587 ათასი ლარი გაყიდვების თვითღირებულებაზე (2018: ნული), 53 ათასი ლარი ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებზე (2018: 19 ათასი ლარი) და 249 ათასი ლარი იქნა კაპიტალიზებული მარაგებზე (2018: ნული).

მდაროს სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა საანგარიშგებო თარიღისთვის 2027 წლამდე განისაზღვრა (2018: 2027 წლამდე). აღნიშნული პერიოდი ხელმძღვანელობამ ასევე ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრად გამოიყენა.

## (b) უზრუნველყოფა

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა უძრავი და მოძრავი ქონება (ძირითადი საშუალებების ჩათვლით) საბალანსო ღირებულებით 20,620 ათასი ლარი (2018: 13,160 ათასი ლარი), დაგირავებულია ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული საკრედიტო ხაზისთვის და უზრუნველყოფილი სესხისთვის (იხილეთ შენიშვნა 15(d)).

## (c) დაუსრულებელი ძირითადი საშუალებები

2019 წლის განმავლობაში, კომპანიამ დაიწყო ქარხნის დიზაინზე მუშაობა, მდნის დამატებითი გადამუშავებისთვის. მშენებლობის დასრულება 2023 წელს იგეგმება. 2019 წელს გაწეული ხარჯები, წინასაპროექტო სამუშაოებისთვის და დოკუმენტების სრული პაკეტისთვის, საანგარიშგებო თარიღამდე 1,850 ათასი ლარის ტოლია (2018: ნული).

## 11. მდაროს ქონება, ლიცენზია და მიების და შეფასების აქტივი

| '000 ლარი                                      | მდაროს<br>აქტივი | დაუსრულებ<br>ელი მდარო | მიების და<br>მოპოვების<br>ლიცენზია | მიების და<br>შეფასების აქტივი | სულ            |
|------------------------------------------------|------------------|------------------------|------------------------------------|-------------------------------|----------------|
| <b>თვითღირებულება</b>                          |                  |                        |                                    |                               |                |
| ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს                      | -                | 12,487                 | 9,043                              | 28,381                        | 49,911         |
| შესყიდვები                                     | -                | 14,642                 | -                                  | -                             | 14,642         |
| შესყიდვები კაპიტალში შენატანების<br>საშუალებით | -                | -                      | -                                  | 486                           | 486            |
| <b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს</b>            | -                | <b>27,129</b>          | <b>9,043</b>                       | <b>28,867</b>                 | <b>65,039</b>  |
| ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს                      | -                | 27,129                 | 9,043                              | 28,867                        | 65,039         |
| შესყიდვები                                     | -                | 16,912                 | -                                  | -                             | 16,912         |
| შიდა გადაცემები                                | 41,474           | (41,474)               | -                                  | -                             | -              |
| <b>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს</b>            | <b>41,474</b>    | <b>2,567</b>           | <b>9,043</b>                       | <b>28,867</b>                 | <b>81,951</b>  |
| <b>დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია</b>             |                  |                        |                                    |                               |                |
| ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს                      | -                | -                      | -                                  | -                             | -              |
| დარიცხვა წლის განმავლობაში                     | (615)            | -                      | (145)                              | (420)                         | (1,180)        |
| <b>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს</b>            | <b>(615)</b>     | <b>-</b>               | <b>(145)</b>                       | <b>(420)</b>                  | <b>(1,180)</b> |
| <b>საბალანსო ღირებულება</b>                    |                  |                        |                                    |                               |                |
| 2018 წლის 31 დეკემბერს                         | -                | 27,129                 | 9,043                              | 28,867                        | 65,039         |
| 2019 წლის 31 დეკემბერს                         | 40,859           | 2,567                  | 8,898                              | 28,447                        | 80,771         |

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ, მადაროს მშენებლობასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების განსაზღვრისთვის და კაპიტალიზაციისთვის გამოიყენა საკუთარი მსჯელობა.

დამატებები დაუსრულებელ მადაროზე მოიცავს ბექთაქარის პროექტის განვითარებისთვის გაწეულ კაპიტალურ დანახარჯებს. 31 დეკემბრის მდგომარეობით ის მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

| '000 ლარი                        | 2019          | 2018          |
|----------------------------------|---------------|---------------|
| მასალები                         | 5,128         | 3,726         |
| ხელფასები                        | 3,984         | 3,629         |
| კაპიტალიზებული საკრედიტო ხარჯები | 2,516         | 3,477         |
| ცვეთა                            | 2,495         | 1,634         |
| შემოწმება და ანალიზი             | 353           | -             |
| კომუნალური ხარჯები               | 136           | 112           |
| სინჯის აღების ხარჯები            | 102           | -             |
| მძიმე ტექნიკის მომსახურება       | -             | 522           |
| აფეთქებითი სამუშაოები            | -             | 336           |
| საიჯარო ხარჯი                    | -             | 70            |
| სხვა                             | 2,198         | 1,136         |
|                                  | <b>16,912</b> | <b>14,642</b> |

2019 წლის განმავლობაში კაპიტალიზებული საკრედიტო ხარჯი შეადგენდა 2,516 ათასი ლარს (2018 წლის განმავლობაში: 3,477 ათასი ლარი), რომელიც შედგება დაუსრულებელ მადაროსთან დაკავშირებით დარიცხული პროცენტისა და უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული ზარალისგან და შეადგენს 2,320 ათას ლარს და 195 ათას ლარს, შესაბამისად (2018 წლის განმავლობაში: 2,816 ათასი ლარი და 661 ათასი ლარი), ხოლო კაპიტალიზაციის განაკვეთი შეადგენს 12.5%-ს (2018: 12.5%).

რადგან ბექთაქარის პროექტის განვითარების ძირითადი ნაწილი, რომელიც აღიარებული იყო დაუსრულებელი მშენებლობის ფარგლებში, იქნა დასრულებული 2019 წლის 1 სექტემბრისთვის, შესაბამისი გაწეული კაპიტალური დანახარჯები, საბალანსო ღირებულებით 41,474 ათასი ლარი, იქნა რეკლასიფიცირებული მადაროს აქტივად.

დაუსრულებელ მადაროს ცვეთა არ ერიცხება მშენებლობის დასრულებამდე და სანამ აქტივი ხელმისაწვდომი არ გახდება დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. რადგან წარმოება 2019 წლის სექტემბრიდან დაიწყო, მადაროს აქტივის, ძიებისა და მოპოვების ლიცენზიის და ძიებისა და შეფასების აქტივების ცვეთა ხორციელდება ერთეულის წარმოების მეთოდის მიხედვით.

მადაროს ქონების, ლიცენზიის და ძიების და შეფასების აქტივის ცვეთა და ამორტიზაცია ნაწილდება მარაგების თვითღირებულებაზე და მარაგის გაყიდვისას აღიარდება რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში;

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის 1,003 ათასი ლარის ოდენობით ცვეთის ხარჯი იქნა დარიცხული გაყიდვების თვითღირებულებაზე (2018: ნული) და 177 ათასი ლარი (2018: ნული) იქნა კაპიტალიზებული მარაგებში.

## (b) უზრუნველყოფა

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არამატერიალური აქტივი და ყველა მოძრავი და უძრავი ქონება, მათ შორის მადაროს ქონება 82,771 ათასი ლარის ოდენობით (2018 წლის განმავლობაში: 65,039 ათასი ლარი), დაგირავებულია ფინანსური ინსტიტუტისგან აღებული საკრედიტო ხაზისთვის (იხილეთ შენიშვნა 15(d)).

## 12. მარაგები

| '000 ლარი                     | 31 დეკემბერი 2019 წელი | 31 დეკემბერი 2018 წელი |
|-------------------------------|------------------------|------------------------|
| სამშენებლო მასალები           | 3,369                  | 1,837                  |
| ოქრო-პოლიმეტალური მადანი      | 1,751                  | -                      |
| შრომითი უსაფრთხოების საქონელი | 109                    | 82                     |
| სხვა                          | 701                    | 365                    |
|                               | <b>5,930</b>           | <b>2,284</b>           |

## 13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| '000 ლარი                                      | 31 დეკემბერი 2019 წელი | 31 დეკემბერი 2018 წელი |
|------------------------------------------------|------------------------|------------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ | 16,166                 | -                      |
| სხვა მოთხოვნები                                | 10                     | 43                     |
|                                                | <b>16,176</b>          | <b>43</b>              |

კომპანიის დაქვემდებარება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე განხილულია მე-17 შენიშვნაში.

## 14. კაპიტალი და კაპიტალის მართვა

### (a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში. საწესდებო კაპიტალის მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ასევე მათ აქვთ უფლებამოსილება კომპანიის დამფუძნებელთა კრებაზე საკუთრების პროცენტულობის შესაბამისი ხმის უფლების რაოდენობაზე.

| '000 ლარი                                                               | საწესდებო კაპიტალი |
|-------------------------------------------------------------------------|--------------------|
| ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს                                               | 36,396             |
| მესაკუთრის არაფულადი შენატანები<br>ძიების და შეფასების აქტივის შენატანი | 486                |
| <b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს</b>                                     | <b>36,882</b>      |
| მესაკუთრის არაფულადი შენატანები<br>ძიების და შეფასების აქტივის შენატანი | -                  |
| <b>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს</b>                                     | <b>36,882</b>      |

2016 წლის 19 ოქტომბერს, მშობელი კომპანიის გადაწყვეტილებით, ბექთაქარის მაღაროს ძიებისა და შეფასების ლიცენზია, ნომინალური ღირებულებით 9,043 ათასი ლარი, შეტანილ იქნა კომპანიის კაპიტალში.

2016 წლის 8 ნოემბერს, მშობელი კომპანიის გადაწყვეტილებით, ძირითადი საშუალებები ნომინალური ღირებულებით 2,015 ათასი ლარი, შეტანილ იქნა კომპანიის კაპიტალში. მსგავსი აქტივების შენატანის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მისი ნომინალური ღირებულებისგან.

2018 წლის 31 მაისს, მშობელი კომპანიის გადაწყვეტილებით, ბექთაქარის მაღაროს გეოლოგიურ-ტექნიკური სამუშაოების, 486 ათასი ლარის ღირებულების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, შეტანილ იქნა კომპანიის საწესდებო კაპიტალში.

**(b) დამატებით გადახდილი კაპიტალი**

დამატებით გადახდილი კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეტანილი არაფულადი ერთეულების ნომინალურ და სამართლიან ღირებულებებს შორის.

2016 წლის 8 ნოემბერს, მშობელი კომპანიის გადაწყვეტილებით კომპანიის კაპიტალში არაფულადი შენატანის ნომინალური ოდენობა იყო 24,923 ათასი ლარი, მაშინ როდესაც კაპიტალში შენატანის განხორციელების თარიღისათვის მისი სამართლიანი ღირებულება იყო 28,381 ათასი ლარი, ამგვარად, აღნიშნულ თანხებს შორის სხვაობა 3,458 ათასი ლარის ოდენობით, აღიარდა როგორც დამატებით გადახდილი კაპიტალი.

**(c) დივიდენდები**

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, ფასს-ის შესაბამისად მომზადებულ „კომპანიის“ ნორმატიულ ფინანსურ ანგარიშგებაში განსაზღვრულის შესაბამისად. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა აკუმულირებული ზარალი 9,358 ათასი ლარის ოდენობით (2018 წლის 31 დეკემბერს აკუმულირებული ზარალი: 748 ათასი ლარი).

**(d) კაპიტალის მართვა**

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად, ბაზრის მონაწილეთა ნდობის და საქმიანობის მომავალი განვითარების ტემპი შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, რაც უმეტესად ფინანსდება კომპანიის დაკავშირებული მხარეების მიერ, სესხის დაფინანსების გზით (იხილეთ მე-15 შენიშვნა).

კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში პერიოდის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა. კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

## 15. სესხები და კრედიტები

ამ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის პროცენტის მატარებელი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. დამატებითი ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია მე-17 შენიშვნაში.

|                                   | 31 დეკემბერი<br>2019 წელი | 31 დეკემბერი<br>2018 წელი |
|-----------------------------------|---------------------------|---------------------------|
| <b>'000 ლარი</b>                  |                           |                           |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |                           |                           |
| სესხი დაკავშირებული მხარისგან     | -                         | 41,603                    |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>    |                           |                           |
| სესხი დაკავშირებული მხარისგან     | 85,577                    | -                         |

დაკავშირებული მხარის სესხი მიღებულია შპს „არ ემ ჯი გოლდისგან“ (ფემთილონ ჰოლდინგ ლიმიტედის ჯგუფში შემავალი კომპანია) კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების და ბექთაქარის პროექტის დაფინანსების მიზნით. თავად შპს „არ ემ ჯი გოლდმა“ სესხი სს „საქართველოს ბანკისგან“, ზოგადი საკრედიტო ხაზის საშუალებით მიიღო, კომპანიის ყველა უძრავ-მოძრავი ქონების დაგირავების გზით (იხილეთ შენიშვნა 18(d)).

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

| '000 ლარი               | 31 დეკემბერი 2019 წელი |           |      |            | 31 დეკემბერი 2018 წელი |           |
|-------------------------|------------------------|-----------|------|------------|------------------------|-----------|
|                         | ნომინალური             |           | წელი | ლირებულება | ნომინალური             |           |
|                         | ვალუტა                 | განაკვეთი |      |            | ვალუტა                 | განაკვეთი |
| უზრუნველყოფილი სესხი    |                        |           |      |            |                        |           |
| დაკავშირებული მხარისგან | აშშ დოლარი             | 12.50%    | 2020 | 86,881     | 85,577                 | 43,118    |
|                         |                        |           |      |            |                        | 41,603    |

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „არ ემ ჯი გოლდთან“ გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანიას გააჩნია გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი 3.9 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით (2018: 3.6 მილიონი აშშ დოლარი).

2019 წლის 1 აპრილს, გაფორმდა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების კორექტირება, რომლის მიხედვითაც საკრედიტო ლიმიტი 22 მილიონ აშშ დოლარამდე იქნა გაზრდილი. სხვა კორექტირების ფარგლებში, რომელიც 2019 წლის 1 სექტემბერს გაფორმდა, საკრედიტო ლიმიტი დამატებით 30 მილიონ აშშ დოლარამდე იქნა გაზრდილი.

**(a) ვალდებულებების მოძრაობის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან შეჯერება**

| '000 ლარი                                          | სესხები და კრედიტები        |
|----------------------------------------------------|-----------------------------|
| ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს                          | 41,603                      |
| <b>ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან:</b> |                             |
| შემოსულობები სესხები და კრედიტებიდან               | 32,845                      |
| სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან     | <b>32,845</b>               |
| <b>უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა</b> | <b>3,492</b>                |
| <b>სხვა ცვლილებები:</b>                            |                             |
| საპროცენტო ხარჯი                                   | 5,121                       |
| კაპიტალიზებული სასესხო ხარჯები                     | 2,516                       |
| სულ ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები  | <b>7,637</b>                |
| <b>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს</b>                | <b>85,577</b>               |
| <b>'000 ლარი</b>                                   | <b>სესხები და კრედიტები</b> |
| ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს                          | 17,323                      |
| <b>ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან:</b> |                             |
| შემოსულობები სესხები და კრედიტებიდან               | 21,138                      |
| სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან     | <b>21,138</b>               |
| <b>უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა</b> | <b>1,632</b>                |
| <b>სხვა ცვლილებები:</b>                            |                             |
| კაპიტალიზებული სასესხო ხარჯები                     | 2,816                       |
| საპროცენტო ხარჯი                                   | 209                         |
| მოგება ცვლილებაზე                                  | (1,515)                     |
| სულ ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები  | <b>1,510</b>                |
| <b>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს</b>                | <b>41,603</b>               |

## 16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| '000 ლარი                                    | 31 დეკემბერი 2019<br>წელი | 31 დეკემბერი 2018<br>წელი |
|----------------------------------------------|---------------------------|---------------------------|
| ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ | 5,206                     | 4,575                     |
| ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ           | 431                       | 256                       |
| ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ          | 202                       | 107                       |
| სხვა ვალდებულებები                           | 662                       | -                         |
|                                              | <b>6,501</b>              | <b>4,938</b>              |

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია 17-ე შენიშვნაში.

## 17. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

### (a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, გაურკვევლობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირითადი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც ანგარიშგების თარიღში პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

### (b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო კომპანია შემდეგ რისკებს გასწევს:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 17(b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 17(b)(iii));
- საბაზრო რისკი; (იხილეთ შენიშვნა 17 (b) (iv));

ამ შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია ზემოთ ჩამოთვლილ თითოეულ რისკზე კომპანიის დაქვემდებარების შესახებ, ასევე კომპანიის მიზნებზე, პოლიტიკებსა და რისკების შეფასებისა და მართვის პოლიტიკებსა და პროცესებზე. დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია შესულია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

#### (i) რისკის მართვის სტრუქტურა

სამეთვალყურეო საბჭოს, ხელმძღვანელობასთან ერთად აქვს სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს აქციონერებს.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილებიან ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

## (ii) საკრედიტო რისკი.

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშობება კომპანიის კლიენტების მიმართ არსებულ მოთხოვნებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

## სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით.

ყველა ახალი კლიენტის კრედიტუნარიანობა ინდივიდუალურად ფასდება კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადებისა და პირობების შეთავაზებამდე. კომპანიის მიმოხილვა მოიცავს გარე რეიტინგებს, ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებას, საკრედიტო სააგენტოებიდან მიღებულ ინფორმაციას, ინდუსტრიის შესახებ ინფორმაციას და რიგ შემთხვევებში საბანკო ინფორმაციას.

2019 წლის სექტემბრიდან, კომპანია ძირითადად ერთ მომხმარებელთან ურთიერთობს. შედეგად, კომპანიის თითქმის მთლიანი შემოსავალი, მიკუთვნებულია ოქრო-პოლიმეტალური მადნის გაყიდვების ოპერაციებზე ერთ კლიენტთან - სს "არ ემ ჯი კოპერთან" (დაკავშირებული მხარე).

კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში. გეოგრაფიულად, მოვალეთა უმეტესობა მდებარეობს საქართველოში.

## მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია მის საკრედიტო რისკის ხარისხზე დაქვემდებარებას ანაწილებს ზარალის რისკის განმსაზღვრელი მონაცემების (გარე რეიტინგები, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, მმართველობითი ანგარიშები და ფულადი ნაკადების პროგნოზები და ხელმისაწვდომი პრეს-ინფორმაცია კლიენტებზე და სხვა), და გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენების საფუძველზე. საკრედიტო რისკის ხარისხები განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების გამოყენებით, რომლებიც მიაწოდებს დეფოლტის რისკზე და შესაბამისობაშია სააგენტოების გარე საკრედიტო შეფასების განმარტებებთან.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი გამოითვლება თითოეული კონტრაგენტისთვის, კონტრაგენტების ვადაგადაცილების სტატუსის, გარე საკრედიტო რეიტინგის, მიმდინარე პირობების მიხედვით და კომპანიის ხედვის მიხედვით თუ როგორი იქნება ეკონომიკური პირობები სასესხო მოთხოვნების მოსალოდნელი მოხმარების ვადი განმავლობაში და მათი დაფარვის გზების შესახებ.

საანგარიშგებო თარიღებისთვის, ხელმძღვანელობა აფასებს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე არის არა არსებითი.

## საკრედიტო ვალდებულებები

კომპანია ასევე ექვემდებარება, კომპანიის მიერ, საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაში კონტრაგენტების დავალიანების გარანტირების მიზნით დადებული საგარანტიო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკი არასაბალანსო ფინანსურ ინსტრუმენტებზე განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაგენტის მხრიდან ხელშეკრულების პირობების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად ზარალის გაწევის შესაძლებლობა.

2016 წლის 20 ოქტომბერს კომპანია შეუერთდა ზოგადი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, სხვა დაკავშირებული მხარის კომპანიებთან ერთად, კომპანია ინარჩუნებს საკრედიტო ხაზს 150 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით სს "საქართველოს ბანკში". საკრედიტო ხაზის დაფარვის ვადა არის 2022 წელი. საკრედიტო ხაზის ნაწილის სახით, ნებისმიერი კონტრაგენტის დეფოლტის შემთხვევაში, ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა კონტრაგენტი ერთობლივად არის პასუხისმგებელი საკრედიტო ხაზის მთლიან გატანილ ოდენობაზე. ხელშეკრულება სესხის გაცემის შესახებ დაიდო საბაზრო პირობებზე, გამოშვებაზე პრემიის გარეშე.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის, საკრედიტო ხაზის დაუფარავი ოდენობა იყო 18,726 ათასი ლარი და 56,517 ათასი ლარი, შესაბამისად. დაუფარავი საკრედიტო ვალდებულებების ოდენობები წარმოადგენს მაქსიმალურ საადრიცხვო ზარალს, რომელიც იქნებოდა აღიარებული საანგარიშგებო თარიღისთვის თუ კონტრაგენტები ვერ დააკმაყოფილებდნენ მათ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

საგარანტიო ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ საკრედიტო რისკთან მიმართებაში, კომპანიის დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე წარმოიშვება კონტრაგენტის დეფოლტის შედეგად, ხოლო მაქსიმალურ დაქვემდებარებას წარმოადგენს მოცემული ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება. კომპანია ზღუდავს მისი კონტრაგენტის საკრედიტო რისკს (კომპანიის შიდა შეფასების შედეგად, ექსპერტის განსჯის მიხედვით განხორციელებული) მოცემულ ხელშეკრულებებზე მხოლოდ იმ კომპანიებთან ურთიერთობით, რომელთაც აქვთ BBB- დან BB+ მდე (S&P) გარე საკრედიტო რეიტინგი. საანგარიშგებო თარიღებისთვის, ხელმძღვანელობა აფასებს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება არის არა არსებითი.

### (iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. ლიკვიდურობის მართვისადმი კომპანიისეული მიდგომა განსაზღვრულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულების ვადაში დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს, რომ კომპანიის საინვესტიციო საქმიანობები დაფინანსდეს დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხებით და კრედიტებით, სანამ კომპანია არ დაიწყებს ფულადი სახსრების გენერირებას მის მიერ განხორციელებული ოპერაციებიდან. ხელმძღვანელობა ასევე უზრუნველყოფს, რომ კომპანია ფლობდეს საკმარისი ოდენობით ხელმისაწვდომ ფულად სახსრებს საკუთარი ფინანსური ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც წარმოიშვება ყოველდღიური ოპერაციებით ან ზოგიერთი გაუთვალისწინებელი ვითარების გამო.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის წმინდა მიმდინარე ვალდებულება იყო 71,699 ათასი ლარი. წმინდა მიმდინარე ვალდებულების პოზიცია გამოწვეული იყო დაკავშირებული მხარის მიმართ (შპს "არ ემ ჯი გოლდი", შენიშვნა 15) არსებული მოკლევადიანი სესხებით 85,577 ათასი ლარის ოდენობით,

თავდაპირველი დაფარვის ვადით 2020 წლის ბოლომდე. თუმცა, შემდეგი 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში მისი ფინანსური ვალდებულების დასაკმაყოფილებლად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ხელმძღვანელობამ შპს „არ ემ ჯი გოლდისგან“ მოიპოვა დასტური, რომ სესხების თავდაპირველი დაფარვის თარიღი იყოს გახანგრძლივებული 2 წლის ვადით.

ამასთანავე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია გამოუყენებელი საკრედიტო ხაზი 3.9 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით (2018: 3.6 მილიონი აშშ დოლარი), შპს „არ ემ ჯი გოლდთან“ დადებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების მიხედვით (იხილეთ შენიშვნა 15).

### ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ მოცემულია ანგარიშგების თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები ბრუტო ფორმით და დისკონტირების გარეშეა წარმოდგენილი და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს.

#### 31 დეკემბერი 2019 წელი

| '000 ლარი                                        | საბალანსო<br>ღირებულება | სულ            | 1 წელზე ნაკლები | 1-3 წლამდე |
|--------------------------------------------------|-------------------------|----------------|-----------------|------------|
| <b>არაწარმოებული ფინანსური<br/>ვალდებულებები</b> |                         |                |                 |            |
| სესხი დაკავშირებული მხარისგან                    | 85,577                  | 96,194         | 96,194          | -          |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                    | 6,299                   | 6,299          | 6,299           | -          |
| საკრედიტო ვალდებულებები (შენიშვნა<br>18d)        | -                       | 18,726         | 18,726          | -          |
|                                                  | <b>91,876</b>           | <b>121,219</b> | <b>121,219</b>  | <b>-</b>   |

#### 31 დეკემბერი 2018 წელი

| '000 ლარი                                        | საბალანსო<br>ღირებულება | სულ            | 1 წელზე ნაკლები | 1-3 წლამდე     |
|--------------------------------------------------|-------------------------|----------------|-----------------|----------------|
| <b>არაწარმოებული ფინანსური<br/>ვალდებულებები</b> |                         |                |                 |                |
| სესხი დაკავშირებული მხარისგან                    | 41,603                  | 52,789         | -               | 52,789         |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                    | 4,831                   | 4,831          | 4,831           | -              |
| საკრედიტო ვალდებულებები (შენიშვნა<br>18d)        | -                       | 56,517         | -               | 56,517         |
|                                                  | <b>46,434</b>           | <b>114,137</b> | <b>4,831</b>    | <b>109,306</b> |

მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში შემავალი ფულადი ნაკადები შესაძლოა წარმოიშვას მნიშვნელოვნად უფრო ადრე, ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობებით.

### (iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

კომპანია არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებასა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

## სავალუტო რისკი

კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე საბანკო ნაშთებთან და სესხებსა და კრედიტებთან მიმართებაში, რომლებიც აშშ დოლარშია დენომინირებული.

## სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

| '000 ლარი                             | აშშ დოლარში<br>დენომინირებული<br>31 დეკემბერი<br>2019 წელი | აშშ დოლარში<br>დენომინირებული<br>31 დეკემბერი<br>2018 წელი |
|---------------------------------------|------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 505                                                        | 416                                                        |
| სესხები და კრედიტები                  | (85,577)                                                   | (41,603)                                                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | (37)                                                       | -                                                          |
| <b>წმინდა დაქვემდებარება</b>          | <b>(85,109)</b>                                            | <b>(41,187)</b>                                            |

პერიოდის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

| ლარში        | საშუალო განაკვეთი |        | საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული<br>განაკვეთი |                           |
|--------------|-------------------|--------|-------------------------------------------------|---------------------------|
|              | 2019              | 2018   | 31 დეკემბერი<br>2019 წელი                       | 31 დეკემბერი<br>2018 წელი |
| 1 აშშ დოლარი | 2.8192            | 2.5345 | 2.8677                                          | 2.6766                    |

## მგრძნობელობის ანალიზი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებაში იმოქმედებდა აშშ დოლარში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

| '000 ლარი                      | ლარის გამყარება    | ლარის შესუსტება    |
|--------------------------------|--------------------|--------------------|
|                                | მოგება ან (ზარალი) | მოგება ან (ზარალი) |
| <b>31 დეკემბერი 2019 წელი</b>  |                    |                    |
| აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა) | 8,511              | (8,511)            |
| <b>31 დეკემბერი 2018 წელი</b>  |                    |                    |
| აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა) | 4,119              | (4,119)            |

## საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენს სესხებსა და კრედიტებზე, სესხის სამართლიანი ღირებულების ცვლილების (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მომავალი ფულადი ნაკადების (სესხი ცვლადი განაკვეთით) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის დასადგენად, თუ კომპანიის ფინანსური ვალდებულებებიდან რამდენი უნდა იყოს ფიქსირებული და რამდენი ცვლადი საპროცენტო განაკვეთით. თუმცა, ახალი სესხის აღების ან გაცემის დროს გადაწყვეტილების მიღებისას მართვის გუნდი ხელმძღვანელობს საკუთარი მოსაზრებით სესხის მოსალოდნელი სარგებლობის პერიოდის დასრულებამდე რომელი საპროცენტო განაკვეთი უფრო მომგებიანი იქნება კომპანიისთვის - ფიქსირებული თუ ცვლადი.

### **საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება**

ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის, კომპანიის პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების პროფილი იყო შემდეგი:

| '000 ლარი                            | საბალანსო ღირებულება   | საბალანსო ღირებულება   |
|--------------------------------------|------------------------|------------------------|
|                                      | 31 დეკემბერი 2019 წელი | 31 დეკემბერი 2018 წელი |
| ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები |                        |                        |
| ფინანსური ვალდებულებები              | (85,577)               | (41,603)               |

### **სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის**

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

#### **(v) საოპერაციო რისკი**

#### **(c) სამთო-მომპოვებელ სამუშაოებთან დაკავშირებული საქმიანობები**

სამთო-მომპოვებელ სამუშაოებთან დაკავშირებული საქმიანობები მათი ხასიათიდან გამომდინარე მრავალ საოპერაციო რისკს და ფაქტორს ექვემდებარება, რომლებიც ზოგადად კომპანიის კონტროლს სცდება და შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის საქმიანობაზე, საოპერაციო შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. ეს საოპერაციო რისკები და ფაქტორები მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ ფაქტორებს: (i) მიწისა და წყლის დაუგეგმავი პირობები და ნეგატიური მოთხოვნები წყალთან დაკავშირებულ უფლებებზე, (ii) გეოლოგიური პრობლემები, მათ შორის მიწისძვრები და სხვა ბუნებრივი კატასტროფები, (iii) მეტალურგიული და სხვა დამუშავების პრობლემები, (iv) უჩვეულო ამინდის ან სამუშაო პირობების წარმოშობა და სხვა ფორსმაჟორული ვითარებები, (v) მადნის მოსალოდნელზე დაბალი შემცველობა ან ამოღებადობის განაკვეთები, (vi) უბედური შემთხვევები, (vii) საჭირო სახელმწიფო ნებართვების მიღების შეფერხება ან მიუღებლობა, (viii) სასამართლო საქმეთ წარმოების შედეგები, მათ შორის სააგენტო გადაწყვეტილებების გასაჩივრება, (ix) საძიებო და განვითარების სამუშაოებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, (x) შეფერხებები ტრანსპორტირებაში, (xi) შრომითი დავები, (xii) დამაკმაყოფილებელი სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შეუძლებლობა, (xiii) მასალების და ხელსაწყოების ხელმიუწვდომლობა, (xiv) მოწყობილობების ან პროცესების გაუმართაობა სპეციფიკაციების ან მოლოდინების შესაბამისად, (xv) მოულოდნელი სირთულეები, რომლებიც ითვალისწინებს შეძენილ ოპერაციებს და მოსალოდნელი უკუგების მიუღწევლობას და (xvi) ფინანსური მცდელობების შედეგები და ფინანსური ბაზრის პირობები.

#### **(d) ოქროს ფასის არასტაბილურობა**

კომპანიის ფინანსური შედეგები დიდწილად არის დამოკიდებული ოქროს ფასზე, რაზეც კომპანიის კონტროლს მიღმა მყოფი მრავალი ფაქტორი მოქმედებს. ოქრო წარმოადგენს საქონელს, რომელიც ლონდონის ძვირფასი ლითონების ბაზარზე, ტოკიოს სასაქონლო ბირჟაზე, ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე (COMEX) და ციურიხის ოქროს ფონდში იყიდება. კომპანიას დაგეგმილი აქვს ოქროს გაყიდვა ლონდონის ძვირფასი ლითონების ბირჟაზე კოტირებული ფასებით. ხსენებულ ბირჟაზე ანგარიშგებულ ოქროს ფასზე მნიშვნელოვნად მოქმედებს მრავალი ფაქტორი, მათ შორის (i) ოქროზე მოთხოვნის და მიწოდების ნაშთი მსოფლიო მასშტაბით, (ii) გლობალური ეკონომიკური ზრდის განაკვეთები, ტენდენციები ძვირფასი ლითონების წარმოებაში, რომლებიც უკავშირდება ოქროსმოთხოვნას, (iii) ეკონომიკური ზრდა და პოლიტიკური პირობები ინდოეთსა და აზიის სხვა

ქვეყნებში, რომლებიც მსოფლიოს უმსხვილესი მომხმარებლები გახდნენ, ასევე სხვა განვითარებადი ეკონომიკები, (iv) სპეკულაციური საინვესტიციო პოზიციები ოქროსა და ოქროს ფიჭურებში, და (v) ვალუტის გაცვლითი კურის მერყეობა, მათ შორის აშშ დოლარის შედარით გამყარება. ოქროს ბაზარი არასტაბილური სეგმენტია. 2019 წლის განმავლობაში ლონდონის ძვირფასი ლითონების ბაზრის ასოციაციის ყოველდღიური საანგარიშგებო ფასები ერთ უნცია ოქროზე 1,269 აშშ დოლარიდან 1,546 აშშ დოლარამდე მერყეობდა.

ოქროს დაბალი ღირებულების ხანგრძლივი პერიოდი უარყოფითად იმოქმედებდა კომპანიის მოგებასა და ფულად ნაკადებზე.

## 18. პირობითი ვალდებულებები

### (a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი მდაროს ქონების, ლიცენზიის და ძიების და შეფასების აქტივის, საქმიანობის შეწყვეტის ან მესამე პირის ვალდებულებებზე ქონების ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვება კომპანიის ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ არ მოხდება კომპანიის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

### (b) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ფონდისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

2018 წლის 17 სექტემბერს გამოცემული, ბრძანება # 25790-ის მიხედვით, დაიწყო საგადასახადო ორგანოს აუდიტი და მოიცვა, 2016 წლის 28 სექტემბრიდან (რეგისტრაციის თარიღი) 2018 წლის 1 აგვისტომდე პერიოდი. 2019 წლის 19 დეკემბერს საგადასახადო ორგანოებმა გამოსცეს ბრძანება #44577 და დაარიცხეს ქონების გადასახადი. კომპანიამ გაასაჩივრა ბრძანება საგადასახადო სააპელაციო საბჭოში და ის კომპანიის სახელით დაკმაყოფილდა 2020 წლის 25 სექტემბრის #10347/2/2020 ბრძანებასთან დაკავშირებით.

**(c) პირობითი ეკოლოგიური ვალდებულებები**

კომპანია სხვადასხვა სახელმწიფო კანონს და რეგულაციას ექვემდებარება, რომლებიც ჰაერის დამაბინძურებელ ემისიებს, მავნე ნივთიერებების, მავნე ნარჩენების და სხვა ტოქსიკური მასალების გამოყოფას, დამუშავებას, შენახვასა და განკარგვას ეხება. ხელმძღვანელობის აზრით, კომპანია აკმაყოფილებდა გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებულ სახელმწიფო მოთხოვნებს და შესაბამისად, კომპანიას არ აქვს რაიმე სახის პოტენციური პირობითი ეკოლოგიური ვალდებულება, რადგან ხელმძღვანელობას არ მიაჩნია, რომ უახლოეს მომავალში წარმოიშვება რაიმე სახის მსგავსი პირობითი ვალდებულება. თუმცა, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და კანონმდებლობასა და მის ინტერპრეტაციებში პოტენციურმა ცვლილებებმა შესაძლოა წარმოშვას მატერიალური ვალდებულებები მომავალში.

**(d) საკრედიტო ვალდებულებები**

2016 წლის 20 ოქტომბერს კომპანია შეუერთდა ზოგადი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, სხვა დაკავშირებული მხარის კომპანიებთან ერთად, კომპანია ინარჩუნებს საკრედიტო ხაზს 150 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით სს "საქართველოს ბანკში". საკრედიტო ხაზის დაფარვის ვადა არის 2022 წელი. საკრედიტო ხაზის ნაწილის სახით, ნებისმიერი კონტრაგენტის დეფოლტის შემთხვევაში, ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა კონტრაგენტი ერთობლივად არის პასუხისმგებელი საკრედიტო ხაზის მთლიან გატანულ ოდენობაზე. ხელშეკრულება სესხის გაცემის შესახებ დაიდო საბაზრო პირობებზე, გამოშვებაზე პრემიის გარეშე.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის, საკრედიტო ხაზის დაუფარავი ოდენობა იყო 18,726 ათასი ლარი და 56,517 ათასი ლარი, შესაბამისად.

დაუფარავი საკრედიტო ვალდებულებების ოდენობები წარმოადგენს მაქსიმალურ სააღრიცხვო ზარალს, რომელიც იქნებოდა აღიარებული საანგარიშგებო თარიღისთვის თუ კონტრაგენტები ვერ დააკმაყოფილებდნენ მათ სახელშეკრულებო ვალდებულებებს. შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილი მთლიანი დაუფარავი სახელშეკრულებო ვალდებულებები, არ წარმოადგენს თანხის აუცილებლად გადინების ვალდებულებას, ვინაიდან აღნიშნულს შეიძლება ვადა გაუვიდეს ან იქნეს შეწყვეტილი კომპანიის მხრიდან დაფინანსების გარეშე.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო ხაზი უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით 20,620 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით (2018 წლის 31 დეკემბერი: 13,160 ათასი ლარი) და მალაროს ქონებით, ლიცენზიით და მიწის და შეფასების აქტივით 80,786 ათასი ლარის ღირებულებით (2018 წლის 31 დეკემბერი: 65,039 ათასი ლარი) გთხოვთ იხილეთ შენიშვნები 10 და 11. დამატებით, საკრედიტო ხაზი უზრუნველყოფილია ჯგუფის საწარმოების მატერიალური და არამატერიალური აქტივებით, რაც ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს.

**19. დაკავშირებული მხარეები****(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე**

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ (საქართველო).

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირები ორი ფიზიკური პირია: დიმიტრი ტროიკი და დიმიტრი კორჟევი.

**(b) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება**

წამყვანმა ხელმძღვანელობამ პერიოდის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასების კატეგორიაში:

| '000 ლარი             | 2019 | 2018 |
|-----------------------|------|------|
| ხელფასები და ბონუსები | 324  | 223  |

**(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან**

| '000 ლარი                                  | გარიგების ღირებულება                        |                                             | დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრის |        |
|--------------------------------------------|---------------------------------------------|---------------------------------------------|------------------------------|--------|
|                                            | 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის | 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის | 2019                         | 2018   |
| <b>მიღებული სესხები:</b>                   |                                             |                                             |                              |        |
| საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები     | 32,845                                      | 21,138                                      | 85,577                       | 41,603 |
| <b>საქონლისა და მომსახურების შესყიდვა:</b> |                                             |                                             |                              |        |
| შობელი კომპანია                            | 228                                         | 509                                         | 1,438                        | 1,214  |
| საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები     | 407                                         | 537                                         | 3,768                        | 3,361  |
| <b>საქონლისა და მომსახურების გაყიდვა:</b>  |                                             |                                             |                              |        |
| საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები     | 13,643                                      | 38                                          | 16,166                       | 34     |

2019 წელს მიღებულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 7,636 ათასი ლარი (2018: 3,025 ათასი ლარი).

**საკრედიტო ვალდებულებები**

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია წარმოადგენდა დაკავშირებული მხარეების დავალიანებების, 103,895 ათასი ლარის და 56,517 ლარის ოდენობით, გარანტს, შესაბამისად (შენიშვნა 18(d))

## 20. შემდგომი მოვლენები

**(a) Covid-19**

COVID-19-ის აფეთქებამ 2020 წლის დასაწყისში და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მსოფლიოს გარშემო, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

2020 წლის 11 მარტს, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. COVID-19 -ის საზოგადოების ჯანმრთელობისთვის პოტენციურად სერიოზული საფრთხის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები მიიღო, რაც მოიცავს ტრანსპორტის გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესებას, უცხოელი სტუმრებისთვის ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვებს და ბიზნეს საზოგადოებისთვის მითითების მიცემას, რომ თანამშრომლები სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადაიყვანონ. 2020 წლის მარტის განმავლობაში, რეგიონალურმა უფლებამოსილმა ორგანოებმა ეტაპობრივად შემოიღეს დამატებითი ზომები სოციალური დისტანცირების გასაძლიერებლად, სკოლების, უნივერსიტეტების, რესტორნების, კინოთეატრების, თეატრების და მუზეუმების და სპორტული დაწესებულებების დახურვის ჩათვლით. საქართველოს მთავრობამ მიღებული ზომების ეტაპობრივი გაუქმება 2020 წლის მაისის ბოლოდან დაიწყო.

2020 წლის მარტში, COVID-19-ის გლობალური აფეთქების გამო, ბოლნისის რეგიონი (შენიშვნა 1 (b)) მკაცრი საკარანტინო რეჟიმის ქვეშ მოექცა, რამაც მთავრობის მხრიდან რეგიონის ჩაკეტვა გამოიწვია. შეზღუდული რეჟიმის მიუხედავად, კომპანიას არ შეუწყვეტია მისი საოპერაციო საქმიანობა და განაგრძობდა აქტიურ საოპერაციო საქმიანობას. კომპანიის ტერიტორიაზე, ხელმძღვანელობამ შესაბამისი სანიტარული სანქციები შემოიღო და პერსონალი მთავრობის მიერ რეკომენდირებული სანიტარული ნორმების შესაბამისად მუშაობდა. საკარანტინო რეჟიმი 2020 წლის აპრილის ბოლოს მოიხსნა. 2020 წლის ნოემბრიდან, პანდემიის მეორე ტალღის გამო, საქართველოს მთავრობამ ქვეყანაში გარკვეული შეზღუდვები დააწესა. თუმცა აღნიშნულს კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე გავლენა არ მოუხდენია, მოპოვების აქტიური პროცესი კვლავ მიმდინარეობს და მხოლოდ ადმინისტრაციული პერსონალის ნაწილი გადავიდა დისტანციურად მუშაობის რეჟიმზე.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ COVID-19-ს არ აქვს უარყოფითი გავლენა კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე. პირიქით, ოქროს საბაზრო ფასები გაიზარდა COVID-19-ის აფეთქების შემდეგ, რაც დადებითად აისახება კომპანიის შემოსავლებზე 2020 წელს. ოქროს ფასები თანდათან იზრდებოდა 2020 წლის განმავლობაში და ისტორიულ მაქსიმუმს 2020 წლის აგვისტოში მიაღწია. 2019 წელთან შედარებით, ზრდამ თითო უნცია ოქროზე შეადგინა დაახლოებით 18%, რაც დადებითად აისახა კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე 2020 წლის განმავლობაში.

- (b) 2020 წლის ნოემბერში კომპანიამ შეცვალა ლიცენზიით გათვალისწინებული ათვისების გეგმა. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ დამტკიცებული ბექთაქარის მადაროზე დამტკიცებული მეტალების ათვისების სავარაუდო ვადა გახანგრძლივდა და ნაცვლად 2027 წლისა განისაზღვრა 2028 წლამდე (თუმცა ლიცენზიის ვადა არ შეცვლილა და კვლავ მოქმედია 2041 წლის 13 ოქტომბრამდე). ათვისების გეგმის დაკორექტირების შედეგად შეიცვალა მადაროზე დამტკიცებული მარაგების ფარგლებში ყოველიურად მოსაპოვებელი მეტალები ოდენობა, შეცვლილი ათვისების გეგმის შედეგად რეგულირებისა და ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი შემცირდება დაახლოებით 2,099 ლარის ოდენობით.

## 21. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

## 22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

### (a) შემოსავალი

ინფორმაცია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკებზე, რომლებიც კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს უკავშირდება წარმოდგენილია შენიშვნაში 6.

### (b) ფინანსური ხარჯი

კომპანიის ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯი;
- უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

საპროცენტო ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

– ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე;

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

კვალიფიციური აქტივის შეძენაზე, მშენებლობასა ან წარმოებაზე პირდაპირ მიკუთვნებადი სასესხო ხარჯები, ეფექტური პროცენტი მეთოდის გამოყენებით კაპიტალიზდება შესაბამის კვალიფიციურ აქტივზე.

#### (c) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ლარში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები უცხოურ ვალუტაში, რომელთა ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

#### (d) თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

**(e) მოგების გადასახადი**

**(i) მიმდინარე გადასახადი**

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის. მიმდინარე გადასახადის ხარჯი ასევე მოიცავს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. თუმცა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვარს გადაცდენილი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები.

**(ii) გადავადებული გადასახადი**

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

**(f) მარაგები**

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება ინდივიდუალური ერთეულის პრინციპს საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებაზე ან დამუშავებაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. წარმოებული მარაგების და დაუსრულებელი სამუშაოს შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს წარმოების

ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს, ჩვეულებრივი საოპერაციო სიმძლავრის საფუძველზე. კაპიტალში შეტანილი მარაგების შემთხვევაში, თვითღირებულება განისაზღვრება მარაგების სამართლიანი ღირებულებით მათი თავდაპირველი აღიარებისას.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

## (გ) ძირითადი საშუალებები

### (i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, ფასდება თვითღირებულებით აკუმულირებული ცვეთის და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შემენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შემენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

### (ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ დანახარჯთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება.

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

### (iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზადმყოფ მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ხოლო კომპანიის შიდა ძალებით დამზადებული აქტივები - მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის ღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა უმეტესად კაპიტალიზდება დაუსრულებელ მადაროზე და მარაგებზე, პროპორციულად (იხილეთ შენიშვნები 11 და 12), წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით, ვინაიდან ეს

საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების ნიმუშს. იჯარით მიღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესით, თუ გონივრულ ფარგლებში აშკარა არ გახდება, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ კომპანია მოიპოვებს მათზე საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა პერიოდისთვის, შემდეგია:

|                                      |             |
|--------------------------------------|-------------|
| • ქონება                             | 9-10 წელი;  |
| • მანქანა-დანადგარები                | 4-5 წელი;   |
| • ავტომობილები, ავეჯი და ხელსაწყოები | 3-5 წლამდე; |
| • სხვა                               | 3-5 წლამდე  |

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

#### (h) მადაროს ქონება, ლიცენზია და ძიების და შეფასების აქტივი

მადაროს ქონება, ლიცენზია და ძიების და შეფასების აქტივი მოიცავს დაუსრულებელ მადაროს, მადაროს აქტივს, კაპიტალიზებულ განვითარების ხარჯებს მომპოვებელი საქმიანობებისთვის, რომელთა მიმართებაშიც ხდება მინერალური რესურსების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის და კომერციული სიცოცხლისუნარიანობის დემონსტრირება, ასევე ძიებისა და მოპოვების ლიცენზიასა და ძიებისა და შეფასების აქტივებს. კაპიტალიზებული დანახარჯი მოიცავს მასალების, პირდაპირი შრომისა და ზედნადები ხარჯების თვითღირებულებას, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოყვანას, კაპიტალიზებულ სასესხო ხარჯებს და ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯს. ძიების და შეფასების აქტივები წარმოადგენს არამატერიალურ აქტივებს.

მადაროს განვითარების ხარჯი ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის/ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

#### (i) ცვეთა/ამორტიზაცია

მადაროს ქონების, ლიცენზიის და ძიების და შეფასების აქტივის ხარჯები ამორტიზირდება „წარმოების ერთეულების“ მეთოდის გამოყენებით, მოსალოდნელი დამტკიცებული და შესაძლო მადნის რეზერვების საფუძველზე.

#### (ii) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივის განვითარებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, მათი გაწევისთანავე.

#### (i) ფინანსური ინსტრუმენტები

#### (i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება (თუ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ერთეულს არ წარმოადგენს) საწყის ეტაპზე აღირიცხება სამართლიან ღირებულებას დამატებული მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით.

## (ii) კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

### ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი ხარჯების დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ვალის ინვესტიცია შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითადი ხარჯების დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

ყველა ფინანსური აქტივი რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

### ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და ამონაგები და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭრო ფლობილი, წარმოებული ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა

ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსიდან ამონაგები და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### (iii) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

#### ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლის საერთო გაკვლევა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილება ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც წვევს SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას.

თუ შეცვლილი აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ ცვლილების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც ცვლილების შედეგად მიღებულ ამონაგებს ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზირებული შეცვლილი ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

#### ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წვევს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი ცვლილებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, ცვლილების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, ანუ ბანკების მიერ, რუსეთის ცენტრალური ბანკის მხრიდან საკვანძო განაკვეთებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, წამოწყებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთებში, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის უფლებას და კომპანიას აქვს შესაძლებლობა, რომ ან მიიღოს გადახდილი განაკვეთი ან დაფაროს სესხი ნომინალური ღირებულებით, ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი/მიღებული თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ ვალის ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ მოგებას ან ზარალში. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

#### (iv) აღირების შეწყვეტა

##### ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

## ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მის სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაცემის ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### (v) ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

### (j) კაპიტალი

#### საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

#### დამატებით გადახდილი კაპიტალი

კომპანიის აქციონერების მიერ განხორციელებული შენატანები, რომელთათვისაც ადგილი არ აქვს აქციონერების გადაწყვეტილებას კომპანიის საწესდებო კაპიტალში შენატანის განხორციელების შესახებ, წარმოდგენილია დამატებით გადახდილი კაპიტალის სახით.

### (k) გაუფასურება

#### (i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

##### ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია აღიარებს ზარალს რეზერვებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

- ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე;
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ სასესხო ინვესტიციებზე; და

კომპანია აღრიცხავს ზარალს რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები რომლებსაც სააღრიცხვო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზარდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სასესხო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

კომპანია მიიჩნევს, რომ სესხის უზრუნველყოფას აქვს დაბალი საკრედიტო რისკი როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი“.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

#### *მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება*

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

#### *კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები*

ყოველი სააღრიცხვო პერიოდის დასაწყისში კომპანია აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული კრედიტით.

ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია კრედიტით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- მსესხებლის ან ემიტენტის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი, ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა იმ პირობებით რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა.

### **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში**

ზარალის რეზერვი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისთვის, ზარალის რეზერვი დარიცხულია მოგებაზე ან ზარალზე და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

### **ჩამოწერა**

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინი. ინდივიდუალური კლიენტების შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივი 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია კომპანია იყენებს მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკას, მსგავსი აქტივების ამოღების წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. კორპორატიული კლიენტებისთვის კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არსებობს თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

### **(ii) არაფინანსური აქტივები**

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, მარაგების გარდა [ბიოლოგიური აქტივები, საინვესტიციო ქონება], გადაიხედება ყოველი ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება. განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე ან ჯერ გამოსაყენებლად ხელმოუწვდომელი გუდვილისთვის და არამატერიალური აქტივებისთვის, აღდგენადი ღირებულება ფასდება ყოველ წელს ერთიდაიგივე დროს.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოადინებებისგან. საოპერაციო სეგმენტის ზედა ზღვრის ტესტირების დაქვემდებარებით, გუდვილის გაუფასურების ტესტირების მიზნებისთვის, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც გუდვილი იქნა განაწილებული ჯგუფდება იმგვარად, რომ დონე რომელზეც გაუფასურებაზე ტესტირება ტარდება ასახავს ყველაზე დაბალ დონეს რომელზეც ხდება გუდვილის მონიტორინგი შიდა ანგარიშგების მიზნებისთვის. ბიზნეს შერწყმის შედეგად შექმნილი გუდვილი ნაწილდება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე, რომლებიც მოსალოდნელია რომ მიიღებენ სარგებელს შერწყმის სინერგიებიდან.

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ქმნიან ცალკეულ ფულადი ნაკადების შემოდინებებს და გამოიყენებიან ერთზე მეტი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემოწმების ნაწილის სახით რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

გუდვილის გაუფასურების ზარალი არ არის აღდგენადი. სხვა აქტივებთან მიმართებაში, წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

## (l) ფინანსური გარანტიები

ფინანსური გარანტიები წარმოადგენს ხელშეკრულებებს, რომლის მიხედვითაც კომპანიას მოეთხოვება კონკრეტული გადახდების განხორციელება, რათა მფლობელს აუნაზღაუროს ზარალი რომელსაც ის გასწევს რადგან კონკრეტული მევალე ვერ ახერხებს გადახდის განხორციელებას მისი ვადის დადგომის დროს, სასესხო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად.

გაცემული ფინანსური გარანტიები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომ, ისინი ფასდება ფასს 9-ის მიხედვით განსაზღვრულ ზარალის რეზერვსა და თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას (გამოკლებული, შესაბამისობის შემთხვევაში, ფასს 15-ის პრინციპების მიხედვით აღიარებული შემოსავლის კუმულაციური ოდენობა) შორის უდიდესით.

## (m) იჯარა

კომპანიამ ფასს 16-ი მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით გამოიყენა და მაშასადამე შესადარისი ინფორმაცია არ არის გადანგარიშებული და კვლავ ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არის წარმოდგენილი. ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში სააღრიცხვო პოლიტიკების დეტალები წარმოდგენილია ცალკე.

### 2019 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება ხელშეკრულებებზე რომლებიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ.

2019 წლის 1 იანვრამდე დადებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ განსაზღვრა იყო თუ არა ან შეიცავდა თუ არა გარიგება იჯარას, შემდეგი შეფასების საფუძველზე:

- დამოკიდებული იყო თუ არა გარიგების შესრულება კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე; და გარიგებამ გადასცა აქტივის გამოყენების უფლება. გარიგება გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას თუ ერთ-ერთი შემდგომი პირობა არის დაკმაყოფილებული:
- შემსყიდველს ჰქონდა აქტივის გამოყენების უნარი ან უფლება, გამოშვებული პროდუქციის უმნიშვნელო ოდენობაზე მეტის მიღების ან კონტროლის თანადროულად;
- შემსყიდველს ჰქონდა აქტივზე ფიზიკური წვდომის კონტროლის უნარი ან უფლება, გამოშვებული პროდუქციის უმნიშვნელო ოდენობაზე მეტის მიღების ან კონტროლის თანადროულად; ან
- ფაქტები და გარემოებები მიუთითებდა იმაზე, რომ იმის ალბათობა რომ სხვა მხარეებმა მიიღონ გამოშვებული პროდუქციის უმნიშვნელო ოდენობაზე მეტი, იყო ძალიან დაბალი, და ერთეულის ფასი არ იყო არც ფიქსირებული გამოშვებული პროდუქციის თითო ერთეულზე, არც ტოლი გამოშვებული პროდუქციის თითო ერთეულის მიმდინარე საბაზრო ფასისა.

## 23. ახალი სტანდარტები და ინტერპეტაციები

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2019 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას. კომპანია გეგმავს მიიღოს აღნიშნული სტანდარტები მათი ძალაში შესვლისთანავე.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კორექტირებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებებში.
- ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის კორექტირებები).
- არსებითის განმარტება (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის კორექტირებები).
- სადაზღვეო ხელშეკრულებები (ფასს 17).

## შპს „არ ემ ჯი აურამაინ“-ის

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა  
2019 წლის 31 დეკემბერს

## საქმიანობის მიმოხილვა

შპს „არ ემ ჯი აურამაინი“ დაარსდა 2016 წლის 28 სექტემბერს შპს „კავკასიის სამთო ჯგუფის“ (CMG) მიერ. შპს „არ ემ ჯი აურამაინი“ ბოლნისის მადნიან რაიონში (ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია) ბექთაქარის საბადოზე ოქრო-პოლიმეტალური მადნების მოპოვების მიზნით ფლობს წიაღით სარგებლობის #1004034 ლიცენზიას, რომელიც გაცემულია 2016 წლის 19 ოქტომბერს და მოქმედია 2041 წლის 10 ოქტომბრამდე.

ბექთაქარის საბადო მდებარეობს საქართველოში, ბოლნისის მადნიანი რაიონის ცენტრალურ ნაწილში, დაახლოებით 18 კმ მანძილზე ქალაქ კაზრეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით და დაახლოებით 80 კმ მანძილზე დედაქალაქ თბილისის სამხრეთ დასავლეთით. უახლოეს დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს სოფელი ბექთაქარი რომელიც ემიჯნება საბადოს.

საბადოს მშენებლობა ხორციელდება კანადური კომპანიის „BUMIGEME“-ის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ ეკონომიკური დასაბუთების პროექტის მიხედვით. მშენებლობის პროცესში საბადოს სპეციალისტებს პროექტში შეაქვთ ცვლილებები, რომლებიც მიმართულია ხარჯების შემცირებაზე.

ბექთაქარის საბადოზე მადნის მოპოვება ხორციელდება შახტური მეთოდით. შესასვლელი (გამხსნელი) გვირაბების, პანდუსების და კვერშლავების გაყვანა ხდება ბურღვა-ფეთქითი სამუშაოების გამოყენებით.

კომპანიამ 2019 წლის აგვისტოდან დაიწყო ოქრო-პოლიმეტალური მადნის მოპოვება. მოპოვებული მადანი საწყობდება საბადოს ტერიტორიაზე, შემდგომ ავტოტრანსპორტის საშუალებით გადამუშავებისთვის გადაიზიდება სს „RMG Copper“-ის გამამდიდრებელი ფაბრიკაში, III სექციაზე, რომელიც აღჭურვილია ბექთაქარის საბადოს წიაღისეულის გადამუშავებისთვის სპეციალურად შემუშავებული ტექნოლოგიური სქემის შესაბამისად. 2019 წლის განმავლობაში მოპოვებული მადნის რაოდენობამ შეადგინა 38,327 ტონა (2018 წელი: 0 ტონა), ხოლო მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 13,6 მილიონი ლარი (2018 წელი: 0 ლარი). აღსანიშნავია 2019 წელს 2018 წელთან შედარებით სახელფასო ხარჯის ზრდა 3,8 მილიონი ლარიდან 9,1 მილიონ ლარამდე, რაც განპირობებულია კომპანიის მიერ მოპოვების პროცესის დაწყებით და დასაქმებული პერსონალის ზრდით. ზოგადად 2018 წლიდან 2019 წლის ჩათვლით გაიზარდა დასაქმებულ თანამშრომელთა რიცხვი - 67 თანამშრომლიდან 84-მდე.

## გარემოს დაცვა

### ზოგადი ინფორმაცია

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების ან/და თავიდან აცილების მიზნით კომპანია უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების და გარემოსდაცვითი ნებართვებით განსაზღვრული პირობების შესრულებას.

### წყალი

საწარმოში მიმდინარე პროცესები არ არის დაკავშირებული ზედაპირული წყლების გამოყენებასთან, ან საწარმოო პროცესში ჩართული წყლების ზედაპირულ ობიექტებში ჩაშვებასთან.

შესაბამისად, კომპანიაში მიმდინარე საწარმოო პროცესები გავლენას არ ახდენს ზედაპირული წყლების დაბინძურებაზე. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების მართვის მიზნით მოწყობილია საასინიზაციო ქეტი, სადაც ხდება სამეურნეო-

საყოფაცხოვრებო წყლების შეკრება და საჭიროების მიხედვით გატანა კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ.

შახტური წყლების მართვის მიზნით ტერიტორიაზე მოწყობილია სალექარ-რეზერვუარები, რომელთა ექსპლუატაციაში გაშვება განხორციელდება შესაბამისი გარემოსდაცვითი ნებართვის პროცედურის დასრულების შემდგომ.

შახტის დრენირების სისტემის ტექნოლოგიური სქემის მიხედვით, საბადოს ფარგლებში მოგროვილი წყალი თავს იყრის სატუმბ სადგურში, საიდანაც ხდება მისი გადაქაჩვა მიწის ზედაპირზე მოწყობილ სალექარ-რეზერვუარში.

მიწის ზედაპირზე გადატუმბული წყლის გადადინება მოხდება 9500 მ³ მოცულობის რეზერვუარისკენ, შემდეგ გადაედინება 17800 მ³ რეზერვუარ-სალექარში. რეზერვუარი-სალექარის გავლის შემდეგ დაწმენდილი წყალი გადაიტუმბება წყლის შესაგროვებელ რეზერვუარებში. ტერიტორიაზე განთავსებულია 3 ერთეული რეზერვუარი, (საერთო მოცულობით 50 ტ) აღნიშნული რეზერვუარებიდან წყლის მიწოდება მოხდება მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესისკენ.

სალექარიდან გამოსული დაწმენდილი წყალი გამოყენებული იქნება გზების დასანამად, ამტვერიანების შესამცირებლად, ხანძარსაწინააღმდეგო მარაგის შესაქმნელად, კომპრესორების გამაგრილებელ სისტემებში და სხვა დამხმარე მიზნებისათვის რომლებიც არ მოითხოვენ სასმელი ხარისხის წყალს.

### **ატმოსფერული ჰაერი**

შპს „RMG Auramine“-ის ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონტროლი ხორციელდება ჰაერდაცვითი კანონმდებლობის დაცვით. დაკვირვების საკონტროლო უბანს წარმოადგენს საწარმოო ტერიტორია, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ორგანიზებული (მათ შორის სტაციონალური) და არაორგანიზებული წყაროები. კერძოდ საწარმოო ტერიტორიაზე განთავსებული ბეტონ შემრევი ქარხანა და ავტოგასამართი სადგური.

ცხელ და მშრალ ამინდებში ამტვერიანების მინიმუმამდე შესამცირებლად, კომპანიამ შეიძინა ერთი ერთეული სარწყავი ტექნიკა. ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა მორწყვის პერიოდულობა და განისაზღვრა მორწყვის გრაფიკი.

### **ნიადაგი**

ნიადაგის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები ფარგლებში კომპანიის საწარმოო მოედანზე სრულად მოხდა ნაყოფიერი ფენის მოხსნა/დასაწყობება. ნიადაგის დაცვის ძირითად ღონისძიებად კომპანია განიხილავს რეკულტივაციას.

### **ნარჩენების მართვა**

შპს „არემჯი აურამან“ ნარჩენების მართვას ანხორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან 2019 წელს შესათანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

კომპანიას დანერგილი აქვს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემა. საწარმოს ტერიტორიაზე 2019 წლის პერიოდისათვის კომპანიას გააჩნია საქმიანობის განხორციელების პროცესში თანმხლები ნარჩენების სახეობებისა და რაოდენობის ზუსტი მონაცემები; ყველა დროებითი დასაწყობების ღია პოლიგონები და დახურული უბნები კომპანიის ხელმძღვანელობის

მიერ მოწყობილია გარემოსდაცვითი და პერსონალის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით და ექვემდებარება მკაცრ კონტროლს; ნარჩენების მართვაზე დასაქმებული მუშა-პერსონალი თანმიმდევრულად ანხორციელებს ორივე ტიპის ნარჩენების მიზანმიმართულ მართვას (შეგროვება, წინასწარი დამუშავება, დროებით განთავსება საბოლოოდ ჩაბარებამდე); კომპანიის ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს მუდმივ მეთვალყურეობას და აწარმოებს მონიტორინგს ნარჩენების მართვის გეგმით მიმდინარე ყველა სავალდებულო პროცესზე.

## **ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**

### **ოქროს და სპილენძის ფასების ცვალებადობა**

კომპანიის ფინანსური შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ოქროს ფასებზე, მიუხედავად იმისა, რომ მოპოვებული მადნის რეალიზაციას ახორციელებს დაკავშირებული კომპანია. ოქროს ფასები თავის მხრივ სხვა მნიშვნელოვან ფაქტორზე დამოკიდებულია და კომპანიის კონტროლს გარეთაა; ოქროთი ვაჭრობა ჩვეულებრივად ხდება ლონდონის ოქროს ბიჟაზე (London Bullion Market), ტოკიოს სასაქონლო ბირჟაზე (Tokyo Commodity Exchange), ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე (New York Commodity Exchange (COMEX)) და ციურიხის ოქროს ბირჟაზე (Zurich Gold Pool). კომპანიის ოქრო იყიდება ლონდონის ოქროს ბირჟაზე გამოცხადებული ოქროს ფასების საფუძველზე. მსოფლიოს ოქროს ფასები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის (1) მსოფლიო ოქროს მოთხოვნა მიწოდების თანაფარდობა (2) მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ტემპები, ასევე ძვირფასეულობის წარმოება რაც ოქროს მოთხოვნასთან არის კორელაციაში (3) ეკონომიკური ზრდა და პოლიტიკური სიტუაცია ინდოეთში და სხვა აზიურ ქვეყნებში რომლებიც გახდნენ ოქროს უდიდესი მომხმარებლები, ასევე სხვა განვითარებადი ქვეყნები (4) ოქროსა და ოქროს ფიუჩერებში სპეკულაციური ინვესტიციები (5) გაცვლითი კურსების ცვალებადობა და აშშ დოლარის კურსის გამყარება. ოქროს ფასები ცვალებადია - 2019 წელს ყოველდღიური ფასები მერყეობდა 1,437 აშშ დოლარს და 1,930 აშშ დოლარს შორის; პერიოდის განმავლობაში ოქროზე დაბალი ფასების შენარჩუნება უარყოფითად მოქმედებს კომპანიის მოგებასა და ფულად ნაკადებზე. 2018 წლიდან კომპანიამ დაიწყო ჰეჯირების გამოყენება ზემოთ აღნიშნული რისკის დასაფარად 2019 წლის სექტემბრამდე.

### **სამთო-მოპოვებითი ბიზნესის საქმიანობის რისკები**

სამთო-მოპოვებითი ბიზნესის საქმიანობა ხასიათდება მრავალი საოპერაციო რისკებითა და ფაქტორებით, რომლებიც კომპანიის კონტროლს მიღმაა და გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე, ოპერაციულ შედეგებსა და ფულადი სახსრების ნაკადებზე. ეს საოპერაციო რისკები და ფაქტორები მოიცავენ, მაგრამ არ შემოიფარგლებიან:

- (i) მიწისა და წყლის დაუგეგმავ მდგომარეობას
- (ii) გეოლოგიურ პრობლემებს, მათ შორის მიწისძვრებს და სხვა სტიქიურ უბედურებებს
- (iii) მეტალურგიულ და გადამუშავების პრობლემებს
- (iv) უზვეულო ამინდის ან სამუშაო პირობების და სხვა ფორმის ფორსმაჟორული მოვლენების
- (v) წარმოშობას
- (vi) მოსალოდნელზე დაბალ შემცველობებსა და ამოკრეფის კოეფიციენტებს
- (vii) უბედურ შემთხვევებს
- (viii) სამთავრობო ნებართვების დაგვიანებულ მიღებას ან უარს
- (ix) სამართალწარმოების, მათ შორის სააპელაციო გადაწყვეტილების გასაჩივრების შედეგებს

- (x) გაურკვევლობას სამთო-სადიებო საქმიანობისას
- (xi) ტრანსპორტირების შეფერხებას
- (xii) შრომით დავებს
- (xiii) სასურველი სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შეუძლებლობას
- (xiv) საჭირო მასალებისა და აღჭურვილობის მოპოვების შეუძლებლობას
- (xv) სპეციფიკაციებისა და მოლოდინების შესაბამისად მოწყობილობების ან პროცესების წარუმატებელ მუშაობას
- (xvi) გაუთვალისწინებელ სირთულეებს შეძენილ ოპერაციებთან და მოსალოდნელი უკუგების მიუღწევლობას
- (xvii) დაფინანსების წყაროებისა და ფინანსური ბაზრის მდგომარეობას.

ბიზნესის საოპერაციო გარემო:

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსი („COVID 19“) გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 22 მაისამდე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი, აიკრძალა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა და ასევე რამდენჯერმე ჩაიკეტა მსხვილი ქალაქები და მუნიციპალიტეტები, მათ შორის ბოლნისის მუნიციპალიტეტიც. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ გამოიწვია გარკვეული ბიზნეს საქმიანობების შეზღუდვა, თუმცა კომპანიის საქმიანობა არ მოექცა აღნიშნული რეგულაციების ქვეშ, შესაბამისად კომპანიამ მუშაობა გააგრძელა ჩვეულ რეჟიმში, სახელმწიფოსგან მიღებული უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვით.

მოცემული რისკების სრულად დაფარვა შეუძლებელია თუმცა კომპანიაში მაღალი კლასის გეოლოგების, იურისტებისა და სხვა სპეციალისტების დასაქმება ამცირებს მოცემული რისკების წარმოქმნის ალბათობას და უარყოფით შედეგებს.

სხვა რისკები

სხვა რისკები მოიცავს საპროცენტო განაკვეთის ზრდის, ვალუტის გაუფასურების და სხვა რისკებს; იმის გამო რომ კომპანიის გაყიდვები ძირითადად ხდება უცხოურ ვალუტაში ამ სახის რისკების გავლენა უმნიშვნელოა.

11 იანვარი 2021 წ

---

გენერალური დირექტორი

თორნიკე ლიპარტია

---

წარმოების დირექტორი მიწ. სამთო  
სამუშაოების უბანზე

ვახტანგ აბაშმაძე

- (x) გაურკვევლობას სამთო-სადიეზო საქმიანობისას
- (xi) ტრანსპორტირების შეფერხებას
- (xii) შრომით დავებს
- (xiii) სასურველი სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შეუძლებლობას
- (xiv) საჭირო მასალებისა და აღჭურვილობის მოპოვების შეუძლებლობას
- (xv) სპეციფიკაციებისა და მოლოდინების შესაბამისად მოწყობილობების ან პროცესების წარუმატებელ მუშაობას
- (xvi) გაუთვალისწინებელ სირთულეებს შეძენილ ოპერაციებთან და მოსალოდნელი უკუგების მიუღწევლობას
- (xvii) დაფინანსების წყაროებისა და ფინანსური ბაზრის მდგომარეობას.

ბიზნესის საოპერაციო გარემო:

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსი („COVID 19“) გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 21 მარტიდან 2020 წლის 22 მაისამდე გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი, აიკრძალა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა და ასევე რამდენჯერმე ჩაიკეტა მსხვილი ქალაქები და მუნიციპალიტეტები, მათ შორის ბოლნისის მუნიციპალიტეტიც. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამ გამოიწვია გარკვეული ბიზნეს საქმიანობების შეზღუდვა, თუმცა კომპანიის საქმიანობა არ მოექცა აღნიშნული რეგულაციების ქვეშ, შესაბამისად კომპანიამ მუშაობა გააგრძელა ჩვეულ რეჟიმში, სახელმწიფოსგან მიღებული უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვით.

მოცემული რისკების სრულად დაფარვა შეუძლებელია თუმცა კომპანიაში მაღალი კლასის გეოლოგების, იურისტებისა და სხვა სპეციალისტების დასაქმება ამცირებს მოცემული რისკების წარმოქმნის ალბათობას და უარყოფით შედეგებს.

სხვა რისკები

სხვა რისკები მოიცავს საპროცენტო განაკვეთის ზრდის, ვალუტის გაუფასურების და სხვა რისკებს; იმის გამო რომ კომპანიის გაყიდვები ძირითადად ხდება უცხოურ ვალუტაში ამ სახის რისკების გავლენა უმნიშვნელოა.

11 იანვარი 2021 წ

გენერალური დირექტორი

თორნიკე ლიპარტია



B. Adashvili

წარმოების დირექტორი მიწ. სამთო

სამუშაოების უბანზე

ვახტანგ აბაშმაძე